საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:პა

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.06.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №049/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. პ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. პ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2017 წლის 15 ივნისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. გ. ადვოკატ ლ. პ.-ს წინააღმდეგ და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2016 წლის ივლისის ბოლოს, საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ ლ. პ.-ს. ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სისხლის სამართლის საქმეზე ნ. გ.-ს დიშვილისთვის, გ. მ.-ს, რომლის სანაცვლოდ უნდა გადაეხადა 4000 (ოთხო ათასი) აშშ დოლარი. შეთანხმების მიხედვით, ნ. გ. ადვოკატს წინასწარ გადაუხადა 1700

(ათას შვიდასი) აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხა საქმის დასრულების შემდეგ უნდა გადაეცა.

1.3 საჩივარში ასევე განმარტებულია, რომ ადვოკატმა თანხის გადაცემის შემდეგ გ. მ.-ს დასაცავად არცერთი მოქმედება არ განახორციელა. თავდაპირველად ტელეფონზე დარეკვისას ადვოკატი პასუხობდა, რომ თანხას დააბრუნებდა, თუმცა შემდგომ ტელეფონი გათიშა და თანხაც არ დააბრუნა.

1.4 ნ. გ.-ს მიერ საჩივართან ერთად წარმოდგენილია ლ. პ. გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით „ადვოკატი იცავს გ. მ.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო, სააპელაციო და საქართველოს უზენაესს სასამართლოებში, კერძოდ მას სჭირდება მისი კუთვნილი ავტომანქანასთან კერძოდ „მერსედეს ბენცთან“ დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სასამართლოს წესით“.

1.5 საჩივრის ავტორსა და მის წარმომადგენელს, მ. ა.-ს ეცნობა საპროცესო კოლეგიის მიერ 2017 წლის 22 სექტემბერს გამართული სხდომის თარიღი, თუმცა სხდომაზე არც საჩივრის ავტორი და არც მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. ასევე, 2017 წლის 01 ნოემბერს საჩივრის ავტორს ეცნობა საპროცესო კოლეგიის მიერ 2017 წლის 06 ნოემბერს ჩანიშნული სხდომის თარიღი, თუმცა ნ. გ. არც 06 ნოემბერს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა.

2. მოწმის ახსნა-განმარტება:

2017 წლის 06 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა გ. მ. რომელმაც განმარტა, რომ 2015 წლის 4 დეკემბერს დააკავეს სიხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რისთვისაც პატიმრობის ვადა განესაზღვრა 4 წლით. 2017 წლის 12 ოქტომბერს, პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტის საფუძველზე გ. მ. გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. დაკავებიდან მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. მ. თუმცა, დაკავებიდან რამოდენიმე თვეში მისმა დეიდამ, ნ. გ. გადაწყვიტა საქმეში კიდევ ერთი ადვოკატის ჩართვა, რისთვისაც შეუთანხმდა ლ. პ.-ს. ოჯახის წევრებმა გ. მ.-ს შეატყობინეს, რომ ციხეში მის მოსანახულებლად მივიდოდა ადვოკატი და მის ინტერესებს დაიცავდა. მოწმის განმარტებით, ლ. პ. საერთოდ არ უნახავს, ის არასდროს მისულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და არ დაუცავს მისი ინტერესები. მოწმის განმარტებით, ადვოკატი აღარ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და მასთან დაკავშირება შეუძლებელი იყო. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე გაეცნო ლ. პ. და ნ. გ.-ს შორის გაფორმებულ და საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულების შინაარსს და განაცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი და ასევე უცნობი იყო თუ რომელ მანქანაზე იყო საუბარი, ვინაიდან მას ასეთი მანქანა არ ყავდა.

3. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ, ლ. პ.-ს 2017 წლის 22 ივნისს გაეგზავნა შეტყობინება და ნ. გ.-ს მიერ წარმოდგენილ საჩივარი, როგორც ელექტრონულად ასევე ფოსტის მეშვეობით. ადვოკატს ეცნობა ნ. გ.-ს მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმოდგენის შესახებ, ასევე ახსნა-განმარტების წარმოსადგენად განესაზღვრა გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადა. ადვოკატს ეცნობა, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე დაკავშირება

შეუძლებელია, ამასთან უცნობია მისი საცხოვრებელი მისამართი, შესაბამისად განემარტა, რომ წარმოედგინა მოქმედი ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის მისამართები. ადვოკატს ფოსტის მეშვეობით გზავნილი არ ჩაბარდა, ხოლო ელექტრონულად გაგზავნილი შეტყობინების გაგზავნა დადასტურდა ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურით. თუმცა, ადვოკატ, ლ. პ.-ს არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ლ. პ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 ნ. გ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 15 ივნისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. პ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე." ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 2^1 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია მისი მონაცემების ცვლილების შესახებ მისი წარმოშობიდან 2 კვირის ვადაში აცნობოს ადვოკატთა ასოციაციას. შესაბამისად, ადვოკატი მისი მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე თავად არის პასუხისმგებელი. საპროცესო კოლეგია ადვოკატთან დაკავშირებას შეეცადა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებულ ადვოკატთა ერთიან სიაში დაცულ მონაცემებზე - ტელეფონის ნომერზე, მისამართსა და ელექტრონულ ფოსტაზე. ადვოკატთან დაკავშირება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ტელეფონის ნომერი მუდმივად გამორთულია ქსელიდან, ხოლო მისამართზე საფოსტო გზავნილები არ ბარდება მისამართის ცვლილების გამო. შესაბამისად, საჩივარი ადვოკატისთვის ჩაბარებულად

ითვლება და ეთიკის კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნ. გ. საჩივარზე ადვოკატ ლ. პ.-ს პოზიციის შესახებ ინფორმაციის არქონის მიუხედავად.

6.2 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე, ნ. გ.-ს დიშვილის ინტერესების დაცვის მიზნით შეთანხმებული მოქმედებები არ განახორციელა.

6.3 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. პ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა."

6.4 ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმებით, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეიძლება განხორციელდეს, როგორც ადვოკატსა და კლიენტს შორის, ასევე კლიენტის სახელით შეთანხმების გაფორმებისთვის უფლებამოსილ პირსა და ადვოკატს შორის. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მიხედვით განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია რწმუნებულებით დავალებული მოქმედება შეასრულოს მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ხელშეკრულების შინაარსს მხარეები თავად განსაზღვრავენ, შესაბამისად მათ შეუძლიათ, კანონის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრონ ის უფლება-მოვალეობები, რაც თავად სურთ.

6.5 საჩივრის ავტორის პრეტენზია მდგომარეობს ადვოკატის უმოქმედობაში. კერძოდ, ნ. გ.-ს განმარტებით, ადვოკატთან შეთანხმების საფუძველზე, ლ. პ.-ს უნდა დაეცვა გ. მ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეში.

6.6 საპროცეო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით 2016 წლის 11 ივლისს ადვოკატ, ლ. პ. და ნ. გ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ხელშეკრულების საგანი განისაზღვრა შემდეგნაირად: „ადვოკატი იცავს გ. მ.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო, სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოში, კერძოდ მას სჭირდება მისი კუთვნილი ავტომანქანასთან კერძოდ „მერსედეს ბენცთან" დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სასამართლოს წესით".

6.7 2017 წლის 6 ნოემბერს, საპროცეო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა გ. მ. რომელმაც განმარტა, რომ დაკავებიდან მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. მ. რამოდენიმე თვის შემდეგ მისმა დეიდამ, ნ. გ. გადაწყვიტა საქმეში კიდევ ერთი ადვოკატის ჩართვა, რისთვისაც შეუთანხმდა ლ. პ.-ს. მოწმის განმარტებით, ლ. პ. საერთოდ არ უნახავს, ის არასდროს მისულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და არ დაუცავს მისი ინტერესები. საპროცესო კოლეგიის გამართულ სხდომაზე მოწმე გაეცნო საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულების შინაარსს და განაცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი და ასევე უცნობი იყო, თუ რომელ მანქანაზე იყო საუბარი, ვინაიდან მას ასეთი მანქანა არ ყავდა.

6.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ საჩივარში მოცემული განმარტება ეწინააღმდეგება მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას, კერძოდ ხელშეკრულებას. ვინაიდან, ერთი მხრივ საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატის ვალდებულება იყო დაეცვა კლიენტის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე და მეორე მხრივ წარმოდგენილი ხელშეკრულებით, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვა სამოქალაქო საქმეზე. საჩივრის ავტორის განმარტებას ადასტურებს ასევე მოწმე, რომელიც აღნიშნავს, რომ ადვოკატს მისი ინტერესები უნდა დაეცვა სისხლის სამართლის საქმეში, ხოლო წარმოდგენილი ხელშეკრულების საგანი მისთვის უცნობია. 2017 წლის 22 სექტემბერსა და 06 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომებზე არ გამოცხადდა ნ. გ. შესაბამისად საპროცესო კოლეგიას არ მიეცა შესაძლებლობა დაეზუსტებინა საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის დადებული წერილობით ხელშეკრულებასა და მათ შორის არსებულ შეთანხმებას შორის კავშირი.

6.9 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება კლიენტსა და ადვოკატს შორის შეთანხმება, სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატ ლ. პ.-ს მიმართ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ლ. პ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №049/17 ადვოკატ ლ. პ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/